სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #86

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბ „არმია“ - თბ „ლოკომოტივი“		
გუნდი	თბ „ლოკომოტივი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	06/04/2024	მატჩის ადგილი	თბილისი, ლოკოს ბაზა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ზვიად მაისურაძე		
☐მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, გიგა მშვენიერაძე; მატჩის IV მსაჯი, გიგა სხილაძე;	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, 8.13. არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	10/04/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაიძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯი, გიგა მშვენიერაძის საითინგი; მატჩის IV მსაჯი, გიგა სხილაძის საითინგი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯი, გიგა მშვენიერაძის საითინგი;
2. მატჩის IV მსაჯი, გიგა სხილაძის საითინგი;
3. მატჩის კიდის მსაჯის ლუკა ნიშნიანიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის მეთვალყურის ფარსმან გაბაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. სრკ-ს მსაჯთა სამსახურის ადმინისტრატორის, შორენა გამსახურდიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
6. სრკ-ს მეთვალყურის ნიკოლოზ აბაშიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
7. მატჩის ვიდეომასალა;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელმა, ზვიად მაისურაძემ :

1. აღიარა მის მიერ მატჩის ოფიციალური პირების(მსაჯები) გადაწყვეტილებების არაერთგზის საჯაროდ გაპროტესტების ფაქტი;
2. დაადასტურა, რომ მსაჯისგან მიიღო გაფრთხილება მსაჯების გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირების გამო;
3. რაც შეეხება მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერ შეურაცხყოფას, ზვიად მაისურაძის განცხადებით ის აგინებდა საკუთარ მოთამაშეს კონკრეტული ეპიზოდის გამო და არა მატჩის ოფიციალურ პირებს, თუმცა მოგვიანებით განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც მსაჯმა წითელი ბარათით გააძევა სათამაშო პერიმეტრიდან, აღელვების გამო მან შესაძლოა შეაგინა მსაჯებს.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

1. მატჩის მსაჯი, გიგა მშვენიერაძის საითინგი (ციტირება) - პირველი ტაიმის განმავლობაში ლოკომოტივის მწვრთნელი ზვიად მაისურაძე აპელირებდა მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე, რაზეც მეოთხე მსაჯმა მიცა შენიშვნა და მოუწოდებდა სიმშვიდისკენ. პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ გასახდელში როდესაც შევედით მეოთხე მსაჯმა მითხრა რომ მას არ ემორჩილებოდა აღნიშნული პიროვნება და მითხრა რომ მე გამეფრთხილებინა ის. მეორე ტამის დაწყებამდე ოფიციალურად მივედი ზვიად მაისურაძესთან და ვუთხარი რო დამშვიდებულიყო და თუ იგივე გააგრძელებდა მომიწევდა მისი გაგდება წითელი ბარათით. შეხვედრის დაახლოებით 53-ე წუთზე მეოთხე მსაჯმა გამაჩერებინა თამაში და მითხრა რომ ის ისევ აგრძელებდა იგივეს ძალიან აგრესიულად და ასევე შეურაცყოფა აყენებდა(დედას აგინებდა) მატჩის ოფიციალურ პირებს. ამის შემდეგ მე დრო გავაჩერე და მას ვუჩვენე წითელი ბარათი. თამაშის შემდეგ შორენა გამსახურდიამ (რომელიც არის კავშირის ოფიციალური წარმომადგენელი და კონკრეტულ თამაშზე იყო ოპერატორი) მითხრა რომ ეს ყველაფერი აქვს

გადაღებული და ასევე გაიგონა ზვიად მაისურაძის მხრიდან არაერთგზის სიტყვიერი შეურაცყოფა. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ასევე ტრიბუნა იყო უკონტროლო, მაქსიმალურად ვეცადე რომ თამაში არ შემეწყვიტა. სტადიონის სტრუქტურიდან გამომდინარე(ძალიან ახლოსაა შეცვლების ადგილი და სათამაშო სივრცე) ჩემს გვერდითს ხელი ეშლებოდა მის საქმიანობაში, მატჩის მეთვალყურემ ვერ/არ გააკონტოლა პერიმეტრი, არასაჭირო ხალხი იყო სტადიონის ტერიტორიაზე. გთხოვთ გაითვალისწინოთ პლეიოფის თამაშები არის უაღრესად დაძაბული და ასეთ დროს საჭიროა სიტუაცია იყოს უსაფრთხო.

2. მატჩის IV მსაჯი, გიგა სხილაძის საითინგი (ციტირება) - მთელი თამაშის განმავლობაში ლოკომოტივის მწვრთნელი ზვიადი მაისურაძე აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებებზე რასაც თან ერთო აგრესიული შეძახილები და ზონის დარღვევა ამ მოქმედებებზე მივეცი გაფრთხილება,მოვუწოდე დამშვიდებისკენ თუმცა,იგივე გააგრძელა რის შემდეგაც მატჩის მთავარ მსაჯს გავაჩერებიე თამაში,ამის შემდეგ მან მიიღო გაფრთხილება თუმცა,ამ ყველაფრის მიუხედავად ლოკომოტივის მწვრთნელმა მაინც გააგრძელა იგივე და დაიწყო გინება მსაჯის მიმართულებით, რაც გავიგონეთ მე და რაგბის კავშირის წარმომადგენელმა(ამ მატჩში ვიდეო გადამღებმა)ქალბატონმა შორენა გამსახურდიამ რის შემდეგაც ეს ყველაფერი ვუთხარი მატჩის მთავარ მსაჯს მან დრო გააჩერა და უჩვენა წითელი ბარათი ლოკომოტივის მწვრთნელს.
3. სრკ-ს მსაჯთა სამსახურის ადმინისტრატორის, შორენა გამსახურდიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - შორენა გამსახურდიას განცხადებით, მან პირადად გაიგონა თუ როგორ აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას (დედის გინება) ზვიად მაისურაძე მატჩის ოფიციალურ პირებს. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა მან გადმოაგზავნა სრკ-ს სადისციპლინო სამსახურში.
4. მატჩის ვიდეომასალა - ჩანაწერის მიხედვით, მას შემდეგ რაც მსაჯმა წითელი ბარათით გააძევა ზვიად მაისურაძე, მკაფიოდ ისმის ამ უკანასკნელის მიერ მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა (დედის გინება).
5. მატჩის მეთვალყურის ფარსმან გაბაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - ფარსმან გაბაძემ დაადასტურა თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელის, ზვიად მაისურაძის მიერ მსაჯების გადაწყვეტილებების საჯაროდ გაპროტესტების ფაქტები თამაშის დროს. მისი განცხადებით მას არ გაუგონია ზ. მაისურაძის მიერ მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა.
6. სრკ-ს მეთვალყურის ნიკოლოზ აბაშიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - ნიკოლოზ აბაშიძის განცხადებით თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელი ზვიად მაისურაძე, თამაშის განმავლობაში საჯაროდ აპელირებდა და კამათობდა მსაჯების გადაწყვეტილებებზე, თუმცა ვერ ადასტურებს ზ.მაისურაძის მიერ მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს.

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ, დადგენილად ცნო თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელის, ზვიად მაისურაძის მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.13 პუნქტის (არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;) დარღვევა.

სადისციპლინო კომისიამ, მსჯელობის შემდეგ დადგენილ ფაქტობრივ მოცემულუბებზე დაყრდნობით მიიღო

გადაწყვეტილება

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელს, ზვიად მაისურაძეს, სრკ-ს მიერ ორგანიზებულ თამაშებზე თბ „ლოკომოტივი“-ს მონაწილეობით, 10(ათი) კვირით აეკრძალოს **სათამაშო სივრცეში*** ყოფნა.
2. დისვალიფიკაციის დაწყების თარიღი - 11/04/2024. დისკვალიფიკაციის დასრულების თარიღი უცნობია.

*სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: ტერმინთა განმარტება - 2.12. **სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	11/04/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]